

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №46
2015 წლის 29 დეკემბერი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 30 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლისა და ნორმატიული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №52 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2015 წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016198) შეტანილ იქნეს ცვლილება თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს 2015 წლის 29 დეკემბრიდან.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლაშა გოგია

დანართი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი თავი I

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მაჩვენებელი

მუხლი 1

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თადართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	21 207,0	6 967,0	14 240,0
გადასახადები	1 595,0	0,0	1 595,0
გრანტები	18 652,5	6 967,0	11 685,5
სხვა შემოსავლები	959,5	0,0	959,5
ხარჯები	16 181,8	1 637,2	14 544,6
შრომის ანაზღაურება	3 845,5	0,0	3 845,5
საქონელი და მომსახურება	3 074,4	510,1	2 564,3



პირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	6 179,9	0,0	6 179,9
გრანტები	425,0	0,0	425,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 029,2	0,0	1 029,2
სხვა ხარჯები	1 627,8	1 127,1	500,7
საოპერაციო სალდო	5 025,2	5 329,8	-304,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6 885,1	6 131,8	753,3
ზრდა	7 045,1	6 131,8	913,3
კლება	160,0	0,0	160,0
მთლიანი სალდო	-1 859,9	-802,0	-1 057,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	0,0	0,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-16,3	0,0	-16,3



ზრდა	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0
კლება	16,3	0,0	16,3
საგარეო	0,0	0,0	0,0
საშინაო	16,3	0,0	16,3
ბალანსი	-1 876,2	-802,0	-1 074,2

მუხლი 2

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახადები და ნაშთის ცვლილება.

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	21 367,0	6 967,0	14 400,0
შემოსავლები	21 207,0	6 967,0	14 240,0
არაფინანსური აქტივების კლება	160,0	0,0	160,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	22 540,5	7 769,0	14 771,5
ხარჯები	16 181,8	1 637,2	14 544,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 045,1	6 131,8	913,3
ნაშთის ცვლილება	-1173,5	-802,0	-371,5

მუხლი 3

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 21,207.0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა	
	მათ შორის	



	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
შემოსავლები	21 207,0	6 967,0	14 240,0
გადასახადები	1 595,0	0,0	1 595,0
გრანტები	18 652,5	6 967,0	11 685,5
სხვა შემოსავლები	959,5	0,0	959,5

მუხლი 4

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1,595.0 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
გადასახადები	1 595,0	0,0	1 595,0
ქონების გადასახადი	1 595,0	0,0	1 595,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	450,0	0,0	450,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	35,0	0,0	35,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	415,0	0,0	415,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	695,0	0,0	695,0

მუხლი 5

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 18,652.5 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსვლები
გრანტები	18 652,5	6 967,0	11 685,5
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0,0	0,0	0,0



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0,0	0,0	0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	18 652,5	6 967,0	11 685,5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	11 685,5	0,0	11 685,5
გათანაბრებითი ტრანსფერი	11 455,5	0,0	11 455,5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	230,0	0,0	230,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0,0	0,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6 967,0	6 967,0	0,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	4 206,9	4 206,9	0,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 760,1	1 760,1	0,0

მუხლი 6

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 959.5 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	959,5	0,0	959,5
შემოსავლები საკუთრებიდან	300,0	0,0	300,0
პროცენტები	40,0	0,0	40,0
დივიდენდები	0,0	0,0	0,0
რენტა	260,0	0,0	260,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	260,0	0,0	260,0
შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0,0	0,0	0,0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0,0	0,0	0,0



საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	226,0	0,0	226,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	226,0	0,0	226,0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
სანებართვო მოსაკრებელი	200,0	0,0	200,0
სახელმწიფო ბაჟი	0,0	0,0	0,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1,0	0,0	1,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	0,0	0,0	0,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	20,0	0,0	20,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	5,0	0,0	5,0
არა საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0	0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0,0	0,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	433,5	0,0	433,5
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0,0	0,0	0,0

მუხლი 7

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 16 245.3 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	



		ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	16 181,8	1 637,2	14 544,6
შრომის ანაზღაურება	3 845,5	0,0	3 845,5
საკონელი და მომსახურება	3 074,4	510,1	2 564,3
სუბსიდიები	6 179,9	0,0	6 179,9
გრანტები	425,0	0,0	425,0
სოციალური უზრუნველყოფა	1 029,2	0,0	1 029,2
სხვა ხარჯები	1 627,8	1 127,1	500,7

მუხლი 8

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივები მათ შორის: განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7 045.1 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი	საკუთარი შემოსავლები
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	7 045,1	6 131,8	913,3
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	131,7	0,0	131,7
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	6,7	0,0	6,7
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 692,8	5 917,9	774,9
განათლება	225,9	225,9	0,0
კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	0,0	0,0	0,0

თავი II

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 9

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები, მათი აღწერის მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები.

2015 წელს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. კულტურისა და სპორტის განვითარება.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება;
- საინვესტიციო გარემოს და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება;
- განათლების კულტურისა და სპორტის განვითარება,
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალური დახმარების და ხელშეწყობის პროგრამების განხორციელება.

2015 წლის და შემდგომი წლების პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს თავდაცვის საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა მუნიციპალიტეტში, თავდაცვის უნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1. 233.7 ათასი ლარი – ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამა ახორციელებს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო და სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევას, მათი სამედიცინო შემოწმებას და გაწვევის ტრანსპორტირებას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

სამხედრო აღრიცხვის სრულყოფილი კოორდინაცია—უზრუნველყოფა.

სამედიცინო შემოწმების შედეგებით ჯანმრთელი ახალგაზრდების სრულად გაწვევის უზრუნველყოფა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალგაზრდობის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2. 11,208.8 ათასი ლარი – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურისათვის თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2.1. 3,221.6 ათასი ლარი – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა (გზები და ხიდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 2,797.8 ათასი ლარი – გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური



გზების მდგომარეობის შენარჩუნება, სასოფლო გზების რეაბილიტაცია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმავალი გზების რეაბილიტაციასა და მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისათვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული სამუშაოების შესრულება მნიშვნელოვან ეფექტს მოიტანს. მოსახლეობას მიეცემა ნორმალური გადაადგილების საშუალება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- ბაზრებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
- სკოლებთან და ჯანდაცვის ობიექტებთან გადაადგილების ხელშეწყობა.
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2.1.2. 423.8 ათასი ლარი – ხიდ-ბოგიერების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგიერების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტში ხიდ-ბოგიერების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგიერების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია. საკუთარი სახსრებით ხიდების რეაბილიტაცია-შეკეთება ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევა-შეფასების კომისიის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კონკრეტული სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეკეთებული და ახლად მოწყობილი ხიდების რაოდენობრივი ზრდა.

2.2 2,977.2 ათასი ლარი – კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 0302)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის გაფართოება, გამწვანების სამუშაოები. სოფლებში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- კეთილმოწყობილი და განათებული სოფელი, სოფლის ცენტრები და უბნები.
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- სასმელი წყლით მოსახლეობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.
- სოფლის ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოფლის ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა.
- გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.



2.2.1. 867.3 ათასი ლარი – გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, ახალი ქსელების მოწყობა და მოხმარებული ელექტრო ენერჯის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება დღეღამის განმავლობაში, სოფლების ინფრასტრუქტურის იერსახის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განათებული სოფლების რაოდენობის ზრდა.

2.2.2. 1,143.0 ათასი ლარი – დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 030202)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა და გაუმჯობესება. ყოველდღიურად 50 ჰექტარამდე ფართის დაგვა-დასუფთავების და 130-150 კუბურ მეტრამდე ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიიდან, სოფელში კომპაქტურად ჩასახლებული მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილებიდან, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია. ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მასალით დამუშავება, ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- დასუფთავებული, სანიტარულ ჰიგიენურად მიმზიდველი ტერიტორიები, ეკოლოგიურად გაუმჯობესებული მდგომარეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომსახურეობის სფეროს ზრდა, სპეცტექნიკის რაოდენობის ზრდა.

2.3. 140.1 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა - პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 030207)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, შემოკავების სამუშაოების, გადაბერებული ხეების მოჭრას და გადაცემას სოციალური დანიშნულების სარგებლობისათვის შესაბამის სამსახურზე. საფლაოების აღრიცხვა-განკარგვაში წესრიგის დამყარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოვლილი მიცვალებულთა საფლაოები

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რამდენად დაცულია სასაფლაოები და 2015 წელს რამდენი შემოკავდა.

2.3.1. 1,156.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 03 03)

აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები: განათების ქსელის მოვლა-შენახვა, სანიაღვრეების მოწყობა და ექსპლოატაცია, გამწვანების სამუშაოები, მწვანე საფარისმოვლა-შენახვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:



- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობილი იერ-სახე,
- ჯანსაღი გარემო. მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული დასვენების ადგილები.
- მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი ტერიტორიების ზრდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- განათებული ქუჩების რაოდენობის ზრდა.
- გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიები.
- ჭარბი ნალექებისაგან მოსახლეობის უვნებლობის მაჩვენებელი.

2.4. 43.6 ათასი ლარი-ადგილობრივი ტყეების მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 0304)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების, მწვანე საფარის დაცვის და განაშენიანების ღონისძიებებს. სპეციალური ჭრის ტყე კაფების გამოყოფის, უკანონო ჭრების შემცირება-აღკვეთის ღონისძიებებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ჯანსაღი გარემოს შენარჩუნება გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ხეების უკანონოდ ჭრის მაჩვენებლის შემცირება ახლადგაშენებული ნარგავების მაჩვენებლის ზრდა.

2.4.1. 21.3 ათასი ლარი – სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ზუდიდის მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწრეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოწესრიგებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები, დაცული სასოფლო სამეურნეო სავარგულები, საყანე ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- წყალდიდობისაგან და სხვა სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვის მაჩვენებელი.

2.5. 80.0 ათასი ლარი – მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0308)

მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, რათა ტრანსპორტის საწვავისა და მარაგ-ნაწილების ფასების ზრდის გამო, მგზავრობის ღირებულება არ გაძვირდეს. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური დანახარჯების და შემოსავლების თანაფარდობით მოსალოდნელი ზარალის ნაწილობრივი შევსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების სტაბილურობის შენარჩუნება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:



- მგზავრთა ნაკადის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

2.6. 4.0 ათასი ლარი – სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 13)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინება მემცენარეობის და მეცხოველეობის საპილოტე პროგრამების მეშვეობით, შემდგომი წლების მიხედვით პროგრამების გაფართოება და საკუთარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება როგორც ადგილობრივი მომხმარებელზე, ისე გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მომდევნო სამი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებისათვის შესაბამისი ბაზის მომზადება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის დასაქმების პროგრამის განხორციელება, ცხოვრების ეკონომიური დონის ამაღლება მუნიციპალიტეტის ეკონომიური პოტენციალის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამების განხორციელებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი მიღწეული ეკონომიკური შედეგები.

2.7. 8.0 ათასი ლარი – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 14)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის სოფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არსებული შენობა-ნაგებობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სამუშაო ინვენტარ მოწყობილობის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება არსებული რეაბილიტაცია და ახალის შექმნა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სოფლის მაცხოვრებლებისათვის სრულყოფილი, საჭირო გარემოს უზრუნველყოფა თვითმართველობის კომპეტენციაში შემავალი მომსახურეობის სფეროების (განათლების, კულტურის, სპორტის, თვითმართველობის) ხელმისაწვდომობისათვის.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის აქტიური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში, მოქალაქეების საერთო საჭიროებათა გათვალისწინების მაჩვენებელი.

3. 2,278.3 ათასი ლარი - განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა.
- რეაბილიტირებული და განახლებული ბაგა-ბაღები და საჯარო სკოლები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზოგადი განათლების მაღალი დონე.
- შეუფერხებელი სასწავლო პროცესი.

3.1. 2,108.0 ათასი ლარი – სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული



კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 44 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1900 - მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

პროგრამის მიზანია კოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგად საგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება, ხელშეწყობა ოჯახებზე ბავშვის აღზრდა განვითარება და სკოლამდელი განათლების მიღების საქმეში. საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა უნარჩვევების განვითარება, მეთვალყურეობა და ზრუნვა ჯანმრთელობის საკითხებში ფსიქოლოგიურ დაკვირვებათა ანალიზი და გატარებული ღონისძიებები.
- საბავშვო ბაღებზე გაწეული დანახარჯების /შენატანების გაუქმების შედეგად/ ოჯახების შემოსავლის ზრდა 15-30 ლარით.
- შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებული მაჩვენებელი.
- ბავშვების მოვლაზე დედების დროის ეკონომიის შედეგად გენდერული საკითხების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბაღებში ბავშვების რაოდენობის გაზრდა 700-ზე მეტი აღსაზრდელით.
- შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციის და ხელმისაწვდომობის კონკრეტული გატარებულ ღონისძიებათა მაჩვენებელი.
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებელი.
- რეაბილიტირებული და განახლებული და ახლად აშენებული შენობების რაოდენობრივი მაჩვენებელი.

3.2. 71.4 ათასი ლარი – საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცალკეული სოფლების მიხედვით გათვალისწინებულია მოსწავლეთა გადაადგილებისათვის ტრანსპორტის ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- რეაბილიტირებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა საშუალო სკოლებში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სრულყოფილი სასწავლო პროცესი და კეთილმოწყობილი გარემო.

3.3. 93.0 ათასი ლარი - სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების პროგრამა (პროგრამული კოდი 0404)

პროგრამის მიზანია პროფესიონალი კადრების, სპეციალისტების მომზადება სოფლის მეურნეობისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია და თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სიახლეების დანერგვა.



შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დასაქმების მაჩვენებელი.

3.4. 5.9 ათასი ლარი - განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 0405)

განსაკუთრებული ნიჭის და უნარების მქონე მოზარდთა და ახალგაზრდათა გამოვლენა და მათი ფინანსურ-მატერიალური ხელშეწყობა შესაბამის სფეროში სწავლისა თუ შემოქმედების უნარის წარმოსაჩენად და განსახორციელებლად. შესაბამისი დებულების შემუშავება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის ზრდა და განვითარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ნიჭიერ ახალგაზრდათა მიღწეული შედეგების მაჩვენებელი.

4. 2,003.5 ათასი ლარი – კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებს.

4.1.1. 70.0 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სპორტსმენთა წვრთნა სხვადასხვა სახეობის მიხედვით, მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფა, წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტსმენთა რაოდენობრივი მაჩვენებელი.

4.1.2. 580.0 ათასი ლარი - ფეხბურთისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

აღნიშნული პროგრამა კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალგაზრდობის, ინტელექტუალურ, შემოქმედებით, სპორტულ და სხვა სფეროებში მუშაობას და ღონისძიებების ჩატარებას. უზრუნველყოფს ბავშვთა და მოზარდთა მომზადებას საფეხბურთო გუნდებისათვის, მატჩებში და ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული მიღწევების გაუმჯობესება, ჯანსაღი თაობის აღზრდა, ახალგაზრდობის ინტელექტუალურ შემეცნებითი პოტენციალის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდობის მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიებები და მათი ხარისხობრივი მაჩვენებელი.
- საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის შედეგობრივი მაჩვენებლები.



4.2. 1,322.5 ათასი ლარი-კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონისძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა-აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება.

4.2.1. 159.0 ათასი ლარი – ადგილობრივი მუზეუმების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050201)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მემორიალური სახლ-მუზეუმების ფონდის აღრიცხვა-სისტემატიზაცია და პოპულარიზაცია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება და განახლება, შევსება, ბროშურების გამოცემა და პოპულარიზაცია. შევსებას და გახსნას ექვემდებარებიან ტარიელ ერისთავის, ისაკ ქორთუას, ზვიად გამსახურდიას და ზურაბ ნარმანიას სახლ-მუზეუმები. მედია მუზეუმის გახსნა დიდი ექსპოზიციების მარაგით. სამხატვრო შემოქმედებითი გამოფენის მოწყობა და პოპულარიზაცია. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების გამოვლენა, აღრიცხვა, სისტემატიზაცია და პოპულარიზება. არსებული მატერიალურ-ტექნიკური და შემოქმედებითი მდგომარეობის პროგრესირება. საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობისადმი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო-სადაზღვევო ექსპედიციის მოწყობა მოძრავი და უძრავი ძეგლების აღრიცხვისა და გამოვლენის მიზნით, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების დასრულება №2 სამაროვანზე და სხვა ღონისძიებების განხორციელება კულტურის ძეგლების მოვლისა და შენახვის პროგრამის ფარგლებში.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა კულტურული მემკვიდრეობისადმი. ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებისადმი. მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და აღდგენილი სახლ-მუზეუმები.

4.2.2. 86.0 ათასი ლარი -სახელოვნებო დარგის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050202)

სახელოვნებო პროგრამა ხორციელდება N2 სამუსიკო სკოლის ბაზაზე. პროგრამის მიზანია მოზარდებში მუსიკალური უნარ-ჩვევების განვითარება, მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, ხოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პედაგოგთა და ოსტატებისათვის მასტერ-კლასების ჩატარება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა. მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა, ფოლკლორული, საესტრადო და კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია. საანგარიშო კონცერტები, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები. მატერიალურ ტექნიკური ბაზის განმტკიცება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსწავლე ახალგაზრდობის მუსიკალური განათლების დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობის რაოდენობრივი და შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.2.3. 40.0 ათასი ლარი - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 050203)

საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციების მოწყობა, არქეოლოგიური კვლევა, ძიების ჩატარება, კულტურული ძეგლის მოვლა-შენახვის და აღდგენის ღონისძიებათა განხორციელება.



მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- კულტურული ძეგლებისა და მემკვიდრეობის, სახელოვან წინაპართა წარმოჩენა, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობილების შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღდგენილი და რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და არქეოლოგიური კვლევის შედეგები.

4.2.4. 237.0 ათასი ლარი - ცენტრალური საბიბლიოთეკო ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 050204)

აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ა.ა.ი.პ. „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ ბაზაზე. პროგრამის მიზანია: წიგნის კითხვის ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. შემოქმედებითი საღამოების მოწყობა. თანამედროვე შემოქმედი ავტორების პოპულარიზება. საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. წიგნიერების გაზრდა. შემოქმედებითი პოტენციალის ზრდა. ღონისძიებების ინტესივობა და ხარისხი. წიგნისკვირეულის ჩატარება. ფოტო გამოფენების მოწყობა. უსინათლოთა პროგრამა „ბუ“-ს დანერგვა. მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- საბიბლიოთეკო და რგის განვითარება, მოსახლეობის მეტი დაინტერესება წიგნიერებისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მკითხველთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი, ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობა.

4.2.5. 100.0 ათასი ლარი - კულტურული ღონისძიებები. (პროგრამული კოდი 05 02 05)

პროგრამის მიზანი სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნა, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია მონაწილეთა მასობრიობა, მოსახლეობის განწყობა წელიწადის ყველა ღირშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნაღონის ძიებებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული შემეცნებითი დონის ამაღლება, დასვენებისა და გართობის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, რელიგიურად, კულტურულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი ძეგლების დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი ზრდის მაჩვენებელი.

4.2.6. 22.0 ათასი ლარი - საინფორმაციო საგამომცემლო საქმიანობა. (პროგრამული კოდი 05 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე შეკვეთილი ინფორმაციების, საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებისა და დაბეჭდვის, სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების ანაზღაურება. გენდერული საკითხების კვლევისა და გაშუქების მიზნით ქალთა გაზეთის თანადაფინანსება, ადგილობრივ პრესაში მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმაციის მიზნით მასალების გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს მიხედვით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ინფორმირებული მოსახლეობა.



- მასმედიის მედიატორის როლის გაძლიერება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის;
- მასმედიის საშუალებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის ინფორმირებულობა;
- მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის ზრდა

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კვლევების შედეგები რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე
- მოსახლეობის ჩართულობა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებში.

4.2.7. 43.0 ათასი ლარი-თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ჩხოროის სამოყვარულო თეატრის ბაზაზე (პროგრამული კოდი 050207)

პროგრამით ხორციელდება სასცენო ხელოვნების პოპულარიზება და განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალურ თემებზე ახალი სპექტაკლების დადგმა და არსებულის აღდგენა. თეატრალური წარმოდგენების გამართვა, თეატრის სამოყვარულო დონეზე პოპულარიზება, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა, მსახიობთა ოსტატობის დასახვეწად მასტერ-კლასების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდა თეატრისადმი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მაყურებელთა დასწრების ზრდის მაჩვენებელი.

4.2.8. 635.5 ათასი ლარი-მუსიკალურ ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 050208)

ქართული ფოლკლორული ტრადიციების აღორძინება, უკვე არსებული და ახალი ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების ხელშეწყობა, ქორეოგრაფების, ლოტბარებისა და მუსიკოსებისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობა, ფოლკლორული ნიმუშების მოძიება და პოპულარიზება. მოზარდთა და ახალგაზრდათა ჩართულობის გაზრდა ქორეოგრაფიულ და მუსიკალურ ანსამბლებში, ფოლკლორის, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგის პოპულარიზაცია, მომავალ თაობაში სასიმღერო და ქორეოგრაფიული ეროვნული ტრადიციების, მემკვიდრეობითობის შენარჩუნება, სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში მიღწეული წარმატებები კულტურის სამინისტროს მიერ შემოღებული სერტიფიცირების წარმატებულად გავლა. ადგილობრივ რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღება, თანამედროვე და ტრადიციული ხელოვნების კონკურს-ფესტივალი „ორფევსი“-ს, პროექტი „მოდი ერთად ვიმღეროთ“, რესპუბლიკური ფოლკლორული ფესტივალი „ART-კოლხი“-ს, კლასიკური მუსიკის რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „ნორჩი მუსიკოსები“-ს ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადის ჩატარება, რაც შემოქმედებითი ანსამბლების გაცნობა-დამეგობრებას, კულტურისა და ხელოვნების დარგში მოღვაწე მოსწავლე-ახალგაზრდობასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მოსახლეობის კულტურულ შემეცნებითი დონის ამაღლება, ახალგაზრდების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შინაარსობრივად და რაოდენობრივად ჩატარებული ღონისძიებათა მაჩვენებელი კონკურსებში, ფესტივალებში მონაწილეთა მიღწეული შედეგობრივი მაჩვენებელი.

4.3. 21.0 ათასი ლარი - ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 0503)

პროგრამის მიზანი სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ახალგაზრდების



განათლების ხელშეწყობის პროგრამები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან დაინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა. ხელშეწყობის ღონისძიებათა გატარება. „ეტალონ მედია“-ს გადაცემაში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მონაწილეობის პროგრამის განხორციელება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. განათლების, კულტურის, ხელოვნების ინტელექტუალური დონის ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული ახალგაზრდული პროექტების, ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი.

5.0. 1.471.4 ათასი ლარი-მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. ასევე გაგრძელდება ინვალიდი, ობოლი და ტყუპი ბავშვების სოციალური დაცვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა ეპიდემიებისაგან.
- სოციალური რისკების განეიტრალება.
- ომის ვეტერანებისა და უკიდურესად შეჭირვებულთა ოჯახების სოციალური დაცვა.
- უნარშეზღუდული ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრირება.
- ღარიბი მოსახლეობის სოციალური დაცვა.
- დედების სოციალური უზრუნველყოფა.
- სოციალური საწარმოების, შშმპ, გენდერული საკითხების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა, კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა საკითხებზე აქტუალური პროექტების მხარდაჭერა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეპიდემიის გავრცელებისგან დაცული მოსახლეობა.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.
- უკიდურესად შეჭირვებული ოჯახების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესება.
- მრავალშვილიანი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება. უნარშეზღუდული ბავშვების და მათი ოჯახების ცხოვრების დონის გაუმჯობესება.



სოციალური საწარმოების განვითარება, შშმ პირთა უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, კომფლიქტის შედეგათ დაზარალებულთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

5.1 124.4 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება. იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა იმუნიპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნიპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა. დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა მალარიის დიაგნოსტიკა, სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება. სანიტარული ღონისძიებები საგანმანათლებლო, სააღმშრდელო საგანმანათლებლო-სააღმშრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

· მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა, ეპიდსაწინააღმდეგო, პრევენციული ზომების გატარება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

· ინფექციური და გადამდები დაავადებისაგან დაცული მოსახლეობის, ავადობის შემცირებული მაჩვენებელი. AO

5.2. 21.2 ათასი ლარი-ჯანდაცვის სხვა ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 0602)

ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გარემოს შენარჩუნების ღონისძიებათა გატარება. ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება, ავადობის პროგნოზირება და საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება.

5.3 . 798.8 ათასი ლარი-მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 0603)

